ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა
და კლინიკური იმუნოლოგიის
სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

**INFECTIOUS DISEASES,
AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY
RESEARCH CENTER**

თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 16. ტელ: (995 32) 39-91-43, 39-80-18, ფაქსი: (995 32) 39-91-44, ელ-ფოსტა: aids@gol.ge
16 Al. Kazbegi Ave, 0160 Tbilisi, Georgia Tel: (995 32) 399143, 39-80-18 Fax: (995 32) 39-91-44 E-mail: aids@gol.ge

01-18/53 10.01.2018 г.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსს
ქ-ნ მ. დარახველიძეს

ქალბატონო მარინა,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის #01-133/ო ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ჩვენი ჯგუფის მიერ შემუშავებული ეროვნული პრატქიკის გაიდლაინი: „აივ/შიდსის მკურნალობისა და პრევენციისათვის ანტირეტროვირუსული მედიკამენტების გამოყენების კონსოლიდირებული გადლაინი".

აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებიდან მცირე პერიოდში განახლებულ იქნა ავტორიტეტული საერთაშორისო გაიდლაინების, მათ შორის აშშ *ჯანმრთელობისა და ადამიანური* რესურსების *დეპარტამენტის* და ევროპის შიდსის კლინიკური საზოგადოების და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები აივ/შიდსის საწყისი (პირველი რიგის) მკურნალობის შერჩევის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა ეროვნული გაიდლაინის შესაბამისი პუნქტების განახლება.

მოგახენებთ, რომ ეროვნული გადილაინის ავტორთა ჯგუფის მიერ ჩატარდა შემდეგი საერთაშორისო გაიდლაინების მიმოხილვა:

- *აშშ ჯანმრთელობისა და ადამიანური* რესურსების *დეპარტამენტის მოზრიდლებსა და მოზარდებში ანტირეტროვირუსული მედიკამენტების გამოყენების გაიდლაინის 2017 წლის 17 ოქტომბრის ვერსია*
- *ევროპის შიდსის კლინიკური საზოგადოების აივ დადებით პირებში ანტირეტროვირუსული მკურანლობის გაიდლაინის 2017 წლის ოქტომბრის მე-9 ვერსია*
- *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2017 წლის ივლისის გაიდლაინი საპასუხო ღონისძიებები აივ პირველად რეზისტენტობაზე*

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის საგინაცვლო
01505
030155143797916

10 2600 01 18
2
1 ფურცელი

- *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2017 წლის ივლისის ტექნიკური დოკუმენტი „ახალ ანტირეტროვირუსულ მედიკამენტებზე გადასვლა: კლინიკური და პროგრამული საკითხების მიმოხილვა“*

ამ მიმოხილვის საფუძველზე განახლებულ იქნა ეროვნული გადილიანის პუნქტი „6.2 რითი დავიწყოთ არვ მკურნალობა: პირველი რიგის არვ მკურნალობა“. კერძოდ განახლება შეეხო მხოლოდ მოზრდილთა რეკომენდაციებს. ორსულ ქალებში, 10-19 წლამდე მოზარდებსა და 10 წლამდე ბავშვებთან დაკავშირებული რეკომენდაციები უცვლელია. განახლებული რეკომენდაციების თან ახლავს წერილს.

გთხოვთ განიხილოთ აღნიშნული განახლებების დამტკიცების საკითხი.

პატივისცემით,

თ. ცერცვაძე

თენგიზ ცერცვაძე
გენერალური დირექტორი
საქართველოს შიდსის ასოციაციის პრეზიდენტი
ივ/ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი